, დამტკიცებულია”

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე

„———-„ „————————————„ 2018 წ.

რექტორი ———————— გიორგი შარვაშიძე

სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამა

ბიბლიოთეკარი

საკონტაქტო ინფორმაცია :
ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ.N 11
ტელ: 577- 755- 771;
ელ-ფოსტა: zurab.gaiparashvili@tsu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი :
ზურაბ გაიპარაშვილი
თსუ - ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

თბილისი
2018 წ

I. **პროგრამის სახელწოდება:** ბიბლიოთეკარი

II. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი:** 03202-3

III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

V. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
ბიბლიოთეკარისპროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ბიბლიოთეკებში, ქალაქის, სოფლის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ბიბლიოთეკაში.

VI. **პროგრამის მიზანი :** პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე, არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.

VII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- ბიბლიოთეკის სივრცის ორგანიზება;
- ფონდის დაკომპლექტება;
- ფონდის მართვა;
- ფონდის დაცვა;
- საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა;
- საბიბლიოთეკო მომსახურება;
- კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება.

VIII. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.**

1. **ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**
- **მოცულობა:** 86 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 15 სასწავლო თვე

2. **არქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**
მოცულობა: 116 კრედიტი
ხანგრძლივობა: 20 სასწავლო თვე

IX. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	➢ საბაზო განათლება	3
2	ინფორმაციული წიგნიერება 1	➢ საბაზო განათლება	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	➢ საბაზო განათლება	2
4	მეწარმეობა 2	➢ საბაზო განათლება	2
5	ინგლისური ენა	➢ საბაზო განათლება	5
ჯამი			15
სავალდებულო პროფესიული მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
6	გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი	➢ საბაზო განათლება	2
7	საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება	➢ სრული ზოგადი განათლება	3
8	ფონდის დაკომპლექტება	➢ სრული ზოგადი განათლება	5
9	ფონდის მართვა	➢ სრული ზოგადი განათლება	10
10	ფონდის დაცვა	➢ სრული ზოგადი განათლება	7
11	საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა	➢ სრული ზოგადი განათლება	10
12	საბიბლიოთეკო მომსახურება	➢ სრული ზოგადი განათლება	8
13	კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები	➢ სრული ზოგადი განათლება	8
14	პრაქტიკული პროექტი ბიბლიოთეკარისთვის - საბიბლიოთეკო მომსახურება და საბიბლიოთეკო კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები	➢ სრული ზოგადი განათლება	6
15	საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი	➢ სრული ზოგადი განათლება	12
ჯამი			71
სულ			86

X. ქართული ენის მოდულების გავლის შესახებ

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

XI. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით

1- პროგრამა

დანართები:

დანართი 1- ზოგადი, სავალდებულო პროფეიული და არჩევითი მოდულები

დანართი 2 - ქართული ენის მოდულები

დანართი 3 სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

დანართი 4- სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

დანართი 5- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

სავალდებულო ზოგადი მოდულები:

2.1 ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
2.2 ინფორმაციული წიგნიერება 1;
2.3 რაოდენობრივი წიგნიერება;
2.4 მეწარმეობა2;
2.5 ინგლისური ენა;

სავალდებულო პროფესიული მოდულები:

2.6 გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი;
2.7 საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება;
2.8 ფონდის დაკომპლექტება;
2.9 ფონდის მართვა;
2.10. ფონდის დაცვა;
2.11 საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა;
2.12 საბიბლიოთეკო მომსახურება;
2.13 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები;
2.14 პრაქტიკული პროექტი ბიბლიოთეკარისთვის - საბიბლიოთეკო მომსახურება და საბიბლიოთეკო კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები;
2.15. საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი.

ზოგადი მოდულები: (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

3.1. ქართული ენა A2
3.2. ქართული ენა B1